



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 16 დეკემბრის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე),
დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, მარიამ კუბლაშვილი, ნათია
კორკოტაძე, მამუკა ნოზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) თამარ ვასაძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის

შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ ვასაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნანა პერტიას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნანა პერტიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) ეკატერინე ჯაოშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ეკატერინე ჯაოშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) სოფიკო ბოლქვაძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10

მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიკო ბოლქვაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ე) გიგა ბაკურაძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიგა ბაკურაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ვ) დემნა ქორიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დემნა ქორიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ქრისტინე ფიფიას, ანა დათუკიშვილის და გიგა კოლუას მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ქრისტინე ფიფიას, ანა დათუკიშვილის და გიგა კოლუას მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ მორის ბარამიას, თათია რობიტაშვილის, ლიანა კაჭაშვილის, გვანცა ჩალაძეს, თეა ბუაძეს, მარიამ ირემაშვილის, რატი ჩანტლაძეს, ეკა კაველიძეს, ნინო ხიზანიშვილის, ირაკლი ხარშილაძეს, სალომე უჩიძეს, ანი ოდილავაძეს, გიორგი დოლიძეს, თეონა ჯანიბეგაშვილის, ეკა ჯიქიას, სოფიო ფირჩხაძეს, გიორგი ბოჭორიშვილის, თამარ მგელაძეს, ილია მათიაშვილის, მარიამ კუტუბიძეს, თამარი გიორგაძეს, თიკო ბაკაშვილის, ანა კიკნაძეს, შოთა მელუას, სალომე სულხანიშვილის, რევაზ ჩივიაშვილის, მარიამ სუჯაშვილის, ფატმან ლეონიძეს, დავით წითლიძეს, ეკატერინე ჯაოშვილის, ალექსანდრე წულაძისა და გიორგი გრიგოლაშვილის განცხადებებს, პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს: მორის ბარამიას, თათია რობიტაშვილის, ლიანა კაჭაშვილის, გვანცა ჩალაძის, თეა ბუაძის, მარიამ ირემაშვილის, რატი ჩანტლაძის, ეკა კაველიძის, ნინო ხიზანიშვილის, ირაკლი ხარშილაძის, სალომე უჩიძის, ანი ოდილავაძის, გიორგი დოლიძის, თეონა ჯანიბეგაშვილის, ეკა ჯიქიას, სოფიო ფირჩხაძის, გიორგი ბოჭორიშვილის, თამარ მგელაძის, ილია მათიაშვილის, მარიამ კუტუბიძის, თამარი გიორგაძის, თიკო ბაკაშვილის, ანა კიკნაძის, შოთა მელუას, სალომე სულხანიშვილის, რევაზ ჩივიაშვილის, მარიამ სუჯაშვილის,

ფატმან ლეონიძის, დავით წითლიძის, ეკატერინე ჯაოშვილის, ალექსანდრე წულაძისა და გიორგი გრიგოლაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) ირინა ბათიაშვილის 2019 წლის 13 დეკემბრის განცხადებას ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე, თანდართული ბიოგრაფით.

(ბ) ნინო ბახტაძის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადებას ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე, თანდართული ბიოგრაფით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) დაკმაყოფილდეს ირინა ბათიაშვილის 2019 წლის 13 დეკემბრის განცხადება ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

(ბ) დაკმაყოფილდეს ნინო ბახტაძის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადება ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა დამატებითი სიის დამტკიცება

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა დამატებით სიას (დანართი 1).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 21 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება

წევრები გაეცნენ ასოციაციის 2019 წლის 21 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის პროექტს (დანართი 2).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 21 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

საკითხი 7. 2019 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე ასოციაციის ეთიკის კომისიის 1 ადვოკატი წევრისა და სარევიზიო კომისიის 1 წევრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, 2019 წლის 9 დეკემბრიდან - 2019 წლის 13 დეკემბრამდე ასოციაციაში შემოსული კანდიდატურების ნომინირების შესახებ განცხადებების განხილვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13¹ მუხლის, 13^{1.3} პუნქტის თანახმად მსურველთა კანდიდატად რეგისტრირება

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-13¹ მუხლის თანახმად, 2019 წლის 21 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე ასოციაციის ეთიკის კომისიის 1 ადვოკატი წევრისა და სარევიზიო კომისიის 1 წევრის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და კანდიდატად ნომინირების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციას თავისი კანდიდატურა წარუდგინა სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველმა ერთმა პირმა - გოჩა გარუჩავამ (სიითი N1828) და ეთიკის კომისიის წევრობის მსურველმა სამმა პირმა - ხათუნა ფურელიანმა (სიითი N4615), რუსუდან ფიფიამ (სიითი N0660) და დალი ჭანიძემ (სიითი N1062).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრობის მსურველი სამივე პირი - ხათუნა ფურელიანი (სიითი N4615), რუსუდან ფიფია (სიითი N0660) და დალი ჭანიძე (სიითი N1062) აკმაყოფილებენ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 30-ე მუხლის მოთხოვნებს. მათ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ აქვთ დადებული დისციპლინური სახდელი, არ შეუჩერებიათ ასოციაციის წევრობა და არიან 30 წელს მიღწეული პირები, არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოსცდილებით. ამასთან, ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ შეუსრულებელი სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება და ბრალდებულის სახით არ არიან მიცემულნი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

ასევე, ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი ერთი პირი - გოჩა გარუჩავა (სიითი N1828) აკმაყოფილებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 30-ე მუხლის მოთხოვნებს, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ აქვს დადებული დისციპლინური სახდელი, არ შეუჩერებია ასოციაციის წევრობა და ადასტურებს, რომ არ აქვს შეუსრულებელი სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება და ბრალდებულის სახით მიცემული არ არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13¹ მუხლის 13^{1.3} პუნქტის თანახმად, ხათუნა ფურელიანი, დალი ჭანიძე და რუსუდან ფიფია რეგისტრირებულ იქნან კანდიდატებად, ასოციაციის ეთიკის კომისიის 1 ადვოკატი წევრის ასარჩევად 2019 წლის 21 დეკემბერს დანიშნულ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით;

(ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13¹ მუხლის, 13^{1.3} პუნქტის თანახმად, გოჩა გარუჩავა რეგისტრირებულ იქნას კანდიდატად ასოციაციის სარევიზიო კომისიის 1 წევრის ასარჩევად, 2019 წლის 21 დეკემბერს დანიშნულ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

საკითხი 8. სავალდებულო კრედიტ-საათების გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო შავშიშვილის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მიმდინარე წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

(ბ) მაგული გოგოლაძის 2019 წლის 17 დეკემბრის განცხადებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების და ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

(გ) ნინო მერებაშვილის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების და ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.1 პუნქტის თანახმად, გარკვეული შეღავათი ვრცელდება ადვოკატებზე, რომელთაც განსაკუთრებული მიზეზის არსებობის გამო, განცხადებით მომართეს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს ნინო შავშიშვილის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადება 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

(ბ) დაკმაყოფილდეს მაგული გოგოლაძის 2019 წლის 17 დეკემბრის განცხადება 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

(გ) ნინო მერებაშვილის 2019 წლის 10 დეკემბრის განცხადება 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

საკითხი 9. თამარ სამუშიას განცხადების განხილვა 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე

წევრები გაეცნენ თამარ სამუშიას 2019 წლის 13 დეკემბრის განცხადებას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის (190 ლარი) დაბრუნების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თამარ სამუშიას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის პროცესში დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შესახებ მას ეცნობა, თუმცა მისი მხრიდან არ მოხდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება რეგისტრაციის მიმდინარეობის პროცესში და შესაბამისად, თამარ სამუშია ვერ დარეგისტრირდა გამოცდაზე.

ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.1 პუნქტით დადგენილია, რომ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აპლიკანტის მოთხოვნა გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდება, მაგრამ რადგან თამარ სამუშიას არ გაუვლია რეგისტრაცია, მისი განცხადება გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ სამუშიას 2019 წლის 13 დეკემბრის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის (190 ლარი) დაბრუნების თაობაზე.

საკითხი 10. ქეთევან კობახიძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ქეთევან კობახიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადებას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სამართლებრივი წერისთვის გათვალისწინებული საათების გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან 2019 წლის 3 დეკემბერს გაცემულ ცნობას, რომლის თანახმად ქეთევან კობახიძე იყო აღნიშნული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და 2014 წლიდან სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტებთან კითხულობდა სამართლის მეთოდების და სამართლებრივი წერის საგნებს, ხოლო 2015 წლიდან მაგისტრატურის კურსზე კითხულობდა სამართლებრივ წერას.

წევრებმა აღნიშნეს რომ ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედი რედაქცია და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება არ ითვალისწინებს მსგავსი სახის გამონაკლისებს და ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მონაწილეთათვის კონკრეტული საათების გავლის ვალდებულებისაგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ქეთევან კობახიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადება, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან 2019 წლის 3 დეკემბერს გაცემული ცნობის საფუძველზე, ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სამართლებრივი წერისთვის გათვალისწინებული საათების გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 11. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) გიორგი სამაგლიშვილის 2019 წლის 12 დეკემბრის განცხადებას სიით ნომერში (0591/1) „დრობ ერთის“ მოხსნის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი სამაგლიშვილის 2019 წლის 12 დეკემბრის განცხადება და სიითი ნომერი განისაზღვროს შემდეგნაირად - 0591.

(ბ) ელენორა ლაგვილავას 2019 წლის 11 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა 2003 წლის 16 ნოემბერს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შეცვლას საერთო სპეციალიზაციით. განცხადებას თან ერთვოდა შრომის წიგნაკის ასლი, რომლის თანახმად 1995-1998 წლებში იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, 1997-2005 წლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, 2006-2007 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მას ეკავა მინისტრის ბიუროს მრჩეველის თანამდებობა, 2007-2010 წლებში იგი იყო იურიდიული კომპანია „ატორნეი“-ის ადვოკატი და დღევანდელი მდგომარეობით იგი დასაქმებულია საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ელენორა ლაგვილავა ასოციაციის წევრია 2006 წლიდან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. 2008 წლიდან მას პირადი განცხადების საფუძველზე შეჩერებული ჰქონდა წევრობა, რომელიც ასევე, პირადი განცხადების საფუძველზე აღიდგინა 2019 წლის 9 დეკემბერს,

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. განმცხადებელმა კი საადვოკატო საქმიანობა დაიწყო 2006 წლიდან, მას შემდეგ რაც გაწევრიანდა ადვოკატთა ასოციაციაში კანონით დადგენილი წესით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი ვალიდურია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ელენორა ლაგვილავას 2019 წლის 11 დეკემბრის განცხადება 2003 წლის 16 ნოემბერს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე საერთო სპეციალიზაციის მინიჭების თაობაზე.

(გ) წევრები გაეცნენ ადვოკატ გიორგი ბერიაშვილის (სიითი N4380) გარდაცვალების მოწმობის ასლს და მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული გიორგი ბერიაშვილის (სიითი N4380) გარდაცვალების ფაქტი და წევრი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე